№ 175

ხუთშაბათი, 17 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 175

ხუთშაბათი, 17 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსა ცდელი წარმოდგენე ი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 20 აგ თვემდე თეატრის დარბაზ ში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3და საღამოს 4—7 საათამდე.

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქ-მეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

მიღება ყმაწვილებისა

მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სკოლაში (ველიამინის ქუჩა, № 3) სწავლა დაიწყება 23 აგვისტოს (დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდის და ნაშუადღევის 6 საათიდგან საღამოს 8 საათამდის). ყმაწვილები მიიღებიან მოსამზადებელ განყოფილებაში (სომხურსა და ქართულში), უმცროსსა, საშუალოსა და უფროს განყოფილებაში. უფროსს განყოფილებაში ყმაწვილები მზადდებიან ყველა საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებში შესასვლელად.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.
(5—6—2).

ქ. ქუთაისში კ. ს. ქორქაშვილის პირველ დაწყებითს სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან ყოველ დღე 25 აგვისტოდამ. სწავლის ფასად დანიშნულია თვითო მოსწავლეზედ თვეში 4 მან. (5—1763—3)

**ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა** თანახმად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის დადგინებისა ამა წლის 5 ივლისსა, № 25-ით, ამით აცხადებს, რომ ამ მომავალ სამოსწავლო 1895—96 წელს მოწაფენი სემინარიისა მიღებიან თავისს ხარჯზედ პანსიონში საცხოვრებლად მხოლოდ სრულის ხარჯით (მარტო სასმელ საჭმელითა და საცხოვრებელ ბინით კი არა, არამედ ტანისამოსითა და საცვალით), რაშიც წლიურად თითოეული გადიხდის 140 მან., რომელიც უნდა ასე იქმნას წარდგენილი სამ ვადაზედ: 1-ლ სექტემბერს—50 მან., 10 იანვარს—50 მან. და აღდგომის პირველ კვირას დანარჩენი 40 მან.
(3—6—2).

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 15 აგვისტოს, მთავარმართებელი ს. ა. შერემეტევი ყარსის მხარესაკენ წავიდა.

*** ტფილისის სახაზინო პალატას და სხვა საფინანსო დაწესებულებათ მიუღიათ პეტერბურგიდგან აღწერილობა ყალბის თუმნიანისა, რომელიც მრავლად არის თურმე ხმარებაში ხლა. ეს თუმნიანები იმდენად წმინდად და ხელოვნურად არის თურმე ნაკეთები, რომ ნამდვილიდგან ძნელად გაარჩევს კაცი. სუყველა ამ ყალბს თუმნიანებს უზის № 354506, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება. („კავკაზ")

*** თუ რამდენად გალაზღანდარავებული და გათამამებულნი არიან შუაბაზრის ნოქრები, ეს წინადაც არა ერთხელ ყოფილა შენიშნული და ამასვე ამტკიცებს ერთი გუშინწინდელი შემთხვევა. სიონის ტაძრის მხრიდგან შუა ბაზარზედ ფაიტონით მოდიოდა ორი ყმაწვილი კაცი. ერთს იმათგანს ვიღამაც ნოქართაგანმა, თუ თვით მაღაზიის პატრონმა, საზამთროს ქერქი მოარტყა მკლავში, რასაკვირველია, იმიტომ რომ ეს საზამთროს ქერქის სროლა გამვლელ-გამომვლელებისთვის მათ ჩვეულებად გარდაჰქცევიათ და თავს იქცევენ ასეთის თავგასულის საქციელით. ყმაწვილმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, მოითხოვა დამნაშავე აღმოჩინათ და პოლიციელსაც მიუხმო, მაგრამ ვერას გახდა, რადგანაც მთელი ბაზარი იქ შეიყარა და ერთი ღრიანცელითა და კივილით უჭედდნენ ყურს იქ მყოფთ, თითქოს სცდილობენ თავი გაუბრუონ და საგანი დაავიწყონო. პოლიციელის მუქარაც ვერას გახდა.

საკვირველი ის არის, რომ შემდეგ როდესაც თვით პოლიციის ნაწილში გამოაცხადეს ყმაწვილებმა ეს თავიანთი შეურაცხყოფა, მორიგმა პოლიციის მეთვალყურემ ყურიც არ გაიბერტყა. ასეთი მოვლენა ხშირიაო,—სთქვა და სინიდისი დაიმშვიდა, თითქოს მისი მოვალეობა არ იყო, სცდილიყო და დამნაშავენი აღმოეჩინა. ხოლო ბოლოს-და, როდესაც ყმაწვილებმა ძალა დაატანეს და მოაგონეს თავისი მოვალეობა, უბრძანა პოლიციელს ქუჩის დარაჯს, რომ მოეყვანა დამნაშავენი, მაგრამ ამ დროს განმავლობაში უკვე დაეკეტათ მაღაზია და თავისთვის ეშველათ დამნაშავეთ. სწორედ ბარბაროსებს მოგვაგონებთ ეს მათი უზნეო და უპატიოსნო საქციელი! საჭიროა, პოლიცია უფრო სასტიკად ეკიდებოდეს ხოლმე ასეთს შემთხვევაში დამნაშავეთ და უფრო მეტს ყურადღებასაც აქცევდეს წესიერების დაცვას ქუჩაში.

*** „ნოვ. ობ."-ს სიტყვით, „მეურნეს" რედაქტორ-გამომცემელს წარუდგენია, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობა, რომ ნება მიეცეს მას «მეურნის» პროგრამის გადიდებისა. ბ. ილია ჭყონიას განუზრახავს შემდეგის განყოფილების მიმატება გაზეთისათვის: შინაური ქრონიკა, ლიტერატურის ისტორია და ბელეტრისტიკა.

*** იმავე გაზეთის ცნობით, წელს კავკასიის სტიპენდია, სხვათა შორის, დაენიშნა კოსტანტინე ავალიანს და რაჟდენ კაკუბავას, რომლებიდგან პირველი მოსკოვის ტეხნიკურ სასწავლებელში აპირებს შესვლას, ხოლო მეორე—საინჟენერო ინსტიტუტში.

*** მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში უკვე დაიწყეს და იბეჭდება მომავალის წლის „საქართველოს კალენდარი"; კალენდარში, როგორც წარსულ წლებისაში, მომავალ წლისაშიაც მრავალი სურათები იქნება. სურათები ტექსტშივე იქნება მოქცეული და გამოვა დეკემბრის დამლევამდე.

*** გუშინ, 15 აგვისტოს, ნიკოლოზის ქუჩაზედ უეცრად ავად გახდა გაზეთ „ივერიის" დამტარებელი ადამ მისკინოვი; მისკინოვი ეტლში ჩასვეს საავადმყოფოში წასაყვანად და გზაშივე გარდაიცვალა. განსვენებული 30 წელიწადი ემსახურებოდა ქართულ რედაქციებს. ის დაატარებდა ხოლმე გაზ. „დროებას", „კრებულს", „იმედს", და „ივერიას". როგორც კარგი მეომარი გზას არ უტევს მტერს და სიკვდილს არჩევს, ვინემ თავისს მოვალეობას უღალატოს, ისე ეს მოხუცი გაზეთის დამტარებელი მოკვდა თავისის სამსახურის აღსრულების დროს.

*** დ. სურამი: კვირას, 13 მარიამობისთვეს, ვაკურთხეთ სურამის სახალხო წიგნთ-საცავი. ხალხი ბლომად დაესწრო, უფრო ინტილიგენ-

## ფელეტონი

—

**პატიოსნება**

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.
(შემდეგი *)

### IV

ისინივე და რობერტი.

რობერტი. (მივარდება მშობლებს, რომელნიც შეკრთალნი დგანან) გამარჯობა, მამავ. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! გამარჯობა, დედაჩემო! (დედას გადაეხვევა და ხელზედ აკოცებს).

ხეინეკე. „მშვიდობა, შვილო, მოსვლასა შენსა"... (შენიშნავს რომ რობერტს იმის ხელზედ კოცნა უნდა და საჩქაროდ გაიწმენდს ხელს შალვარზედ) ხელზედ გინდა მაკოცო?

რობერტი. რასაკვირველია, მამავ, თუ ნებას დამრთავ.

ხეინეკე. (ხელს მიუშვერს) ეხლავე სჩანს, რომ მშობლის დამფასებელი შვილია.

რობერტი. (მიიხედ-მოიხედავს) ძლივს, ძლივს ისევ ჩემს სახლში ვარ. არა გამეგება-რა... იქნება სიზმრადა ვხედავ. ახ, რომ იცოდეთ როგორა მკლავდა სამშობლოს ნახვის სურვილი! ვიწექი ღამე და ყოველი მშობლიური თვალ წინ წარმომიდგებოდა: მამა, დედა, ეზო, ბაღი, ქარხანა... გამოვერკვეოდი და ზემოდგან უშველებელი ბზის ტოტი დამყურებდა, შორიდგან-კი თუთიყუშის ხმა მოისმოდა. გონებაზედ მოვიდოდი... მივხვდებოდი, რომ შორს ვიყავ, ქვეყნის მეორე კიდეზედ, მარტო! ბრრ!

ხეინეკე. თუთიყუში? აი ეგ სასიამოვნოა. ჩვენში მარტო ძალიან მდიდარს ხალხაა ჰყავს თუთიყუში.

რობერტი. ჰო, მაგრამ ამ ბოლოს დროს რომ იცოდეთ როგორ მეშინოდა... გზაზედ წამოსვლის დროსაც-კი... ვნახავ-კი ყველაფერს ისე მშვიდობით, როგორც მგონია-მეთქი.

ხეინეკე. ვითომ რატომაო?

რობერტი. იქ ერთი მეგობარი მყავდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი, რომელიც სცდილობდა ჩემი იმედი გაეცრუებინა. „შენ ეხლა უცხო ხარ იმათთვისაო, ამბობდა, და არ უნდა ეცადო იმის შეერთებას, რაც დრომ და გარემოებამ სრულიად განაცალკევაო", და ვინ იცის კიდევ რას არ ჩამძახოდა. მაშინ გულს შიში შემეპარა, თქვენი დარდიცა მქონდა და ჩემიც. მადლობა ღმერთს, მოლოდინი არ გამიმართლდა, იმედი შემისრულდა. ყოველივე ისე დამხვდა, როგორსაც ამ ათის წლის წინად ვოცნებობდი. აგერ ჩემი მშობლები, ჩემი საყვარელი და სასურველი მშობლები... მართალია, ცოტა მოხუცებულან, მაგრამ ეს ხელები რად მოუცია ღმერთს ჩემთვის. მხოლოდ ცოტა მომითმინეთ. ჩემი დებიც იშრომებენ. აგერ მამიჩემის ძველი ქოთანიც, წებოთი სავსე... ქარხნის ორთქლის მანქანაც ჩვეულებრივ მხიარულადა ხმაურობს.

დედა. ვინ იცის, ამ ღამეს ძილი არ მოგცა მანქანამ? ისეთი რახა-რუხი გააქვს მაგ...

რობერტი. ოჰ, არა, დედა-ჩემო, პირ იქით, ნანასავით შემომესმოდა. ძილი მეპარებოდა და თან ვფიქრობდი: იქშინე, ირახუნე, ძველო მეგობარო, ნუ ზარმაცობ, მაგრამ რამდენიც უნდა ეცადო, მიულინგის ოჯახს ჩემზედ მეტს სახელსა და დიდებს ვერ შესძენ მეთქი... განა თავის მოწონება არ შემიძლიან? აი სწორედ მაშინ გამახსენდა ჩვენი კეთილის ყოფილნი.

ხეინეკე. ჰმ!.. ჰმ!..

რობერტი. რა სთქვი, მამაჩემო?

ხეინეკე. მე? არაფერი.

რობერტი. და შევფიცე კიდეც ჩემს თავს, რომ სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე იმათი ერთგული მონა, მოსამსახურე მონა ვიყო.

ხეინეკე. მგონი ისეც ცოტა არ იმუშავე იმათთვის.

დედა. ამ ათს წელიწადში დაილიე და დაიქანცე იმათის გულისათვის.

რობერტი. მაგდენიც არაფერი, დედაჩემო! მაგრამ კმარა, დავანებოთ ამ ლაპარაკს თავი. მიულინგის ოჯახი ისე მექცეოდა, რომ ყოველდღე მიზეზს მაძლევდა მადლობის გარდახდისას. დიდად მეგობრულს წერილებსა მწერდა თვით ქარხნის უფროსი, განსაკუთრებით-კი კურტი, რომელიც ამ ბოლო დროს მამას მიუამხანაგდა.

ხეინეკე. კურტი? კაი ყმაწვილია. მაგრამ საზოგადოდ კი ისიც სხვებს ემ გავსება. საჭირო აღარ იქნები და მიბრძანდითო, გეტყვიან. მაგ ვაჟბატონებს ამბავს-კი ვერ მასწავლი.

რობერტი. (უნდა პასუხის გაცემა, მაგრამ ხმა-ამოუღებლად ზურგს მაუბრუნებს ნაწყენი).

ხეინეკე. მოიხედე და, შვილო! ნუ თუ ვერაფერსა ჰხედავ?

დედა. კმარა, სისულელეს ნუ სჩმახავ!

ხეინეკე. სისულელესაო? როგორ? ჩემს ძვირფასს შვილს მინდა ჩემს ოთახში მივესალმო და შენ-კი ამბობ, სისულელესა სჩმ ხავო?! (მიიყვანს რობერტს ქაღალდთან) როგორ მოგწონს, ჰა? რას იტყვი?

რობერტი. შენ გააკეთე, მამავ, შენის ნატკენის ხელით?

ხეინეკე. ეგ რა არის, განა მარტო მაგისთანაების კეთება შემიძლიან. მე, ამ კოჭლს კაცს, მუშაობა რომ არ შემეძლოს, ჩვენი პატივცემული ოჯახი შიმშილით ამოწყდებოდა. დედაკაცო, შენ რაღასა სდგეხარ და ამთქნარებ, ყავა რა უყავ?

დედა. კარგია, ჰო, მივდივარ (მიდის)

რობერტი. დედავ, ღმერთს გეფიცები, მამას შენი წყენა არ უნდოდა.

დედა. წყენაო?! ეგ მაგას იმიტომ ამბობს, რომ შენ გაჩვენოს, ვითომდა მე ვარ ოჯახის უფროსიო (გადის).

### V

სიჩუმეა.

რობერტი. (სცდილობს უსიამოვნება გააქარწყლოს) ყუთების კეთება უწინდელებრ შეგიძლიან, მამაჩემო?

ხეინეკე. მაგის მეტს რაღას ვაკეთებ.

რობერტი. ხელი არ გიშლის?

ხეინეკე. ხელიო? ხა-ხა-ხა! ხელი! გინდა გაჩვენო, როგორ ვკეთებ ყუ-

*) იხ. „ივერია", № 174.

ცია. დღკ. სოლომონ ელი—მა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომლითაც ნათლად განმარტა ფრიად დიდი მნიშვნელობა წიგნთ-საცავის ხალხის განათლებაში და განვითარებაში. სამწუხაროდ ვერ დაესწრო კურთხევას მდაბიო ხალხი, რომლისთვისაც უფრო საჭირო იყო გაგება და ჩაგონება სამკითხველოს სარგებლობისა. ეს იყო ვალი აქაურ მამასახლისისა და არ ვიცით, რამ დააბრკოლა ამ უბრალო მოვალეობის შესრულებაში.

*** სოფ. ბაგურციხე: წარსულის თვის 22-ს აქაურ სასოფლო სკოლის შენობაში გამართეს წარმოდგენა სცენის მოყვარეთ კარდანახის სოფლის ეკკლესიის სასარგებლოდ. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საერთო ვახშამი. ვახშამიდამ და წარმოდგენიდამ შემოსავალი რვა თუმანი დარჩა, რომელიც გადაეცა ზემოხსენებულ სოფლის ეკკლესიის გამგეს. კიდევ აპირებენ მეორე წარმოდგენის გამართვას ადგილობრივის სოფლის ღვთის-მშობლის ეკკლესიის სასარგებლოდ.

## დამაკვირდი

—

თავისმკვლელი ის მსხვერპლია, რომელიც თავისს ჯალათს შეჰხვედრია და ჰკლავს.

—

რასაც ხალხი ცუდს საქმეზედ ფულს ხარჯავს, იმის მეოთხედს რომ კეთილს საქმეს ანდომებდეს, სიღარიბე სრულიად მოისპობოდა.

—

ყველა, რაც კი უსარგებლოა,—საშიშარიც არის.

ალექსანდრე დიუმა-შვილი.

## კორესპონდენცია.

—

ქსნის ხეობა, 12 აგვისტოს. მესამე წელიწადია, რაც ჩვენში ეკკლესიათა სამზრუნველონი დაარსდა, რომელთაც ბევრი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ეკკლესია, ბევრი სავალალო და თითქმის საცემი საქმენი გაუწიდათ. ერთი ტაძარი არ მოიპოვება, რომელსაც თავისი საჭიროებისათვის ორ თუმანზედ მეტი ეძლოდეს; არ იპოვება სამრევლო, რომელსაც ზედვე სკოლა ჰქონდეს, შეძლოს გარშემო მცხოვრებთ ერის განვითარება, წერა-კითხვის შეძენა მოინიც. მერგან, სკოლას რომ თავი დავანებოთ, ეკკლესია იქცევა, მრევლს ებიმა ღვთის სამსახური განსაკუთრებულ სამლოცველოში; მანამდე სამზრუნველონი დაარსდებოდნენ, თ. შალიკაშვილის გამრჯელობით და დაუღალავის შრომით ქსნის ხეველებისადმი საკეთილდღეოდ, მეუფისაგან ამ გადაურჩა ს. ცხავატის ეკკლესიის სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც დღითი-დღე ესპობოდა არსებობა და დღეს თუ ხვალ ცხავატელები ელოდნენ პირჯვრის-წერის დაიწყებას, მაგრამ შალიკაშვილის მეოხებით ეკკლესია აღდგენილ იქმნა. ბევრი ხატები და კანკელის მორთულობა მოსკოვიდგანაც გამოიწერა და დღეს ცხავატის ოღრო-ჩოღრო სალ-კლდიანის ხევიდგან გამოსჩანს რწმენა ქრისტეს სარწმუნოებისადმი. სამწუხაროდ დაგვრჩა, რომ კოსტანტინე შალიკაშვილმა არც ერთის ეკკლესიის მზრუნველად ყოფნა არ იკისრა, თორემ დღევანდელ ზოგიერთა მზრუნველთა ქცევით აჩირდება კაცი, რომ ჰხედავს მათს გულ-ცივობას და უზრუნველობას ეკკლესიებისადმი, რომელთა წყალობითაც არა ერთი ტაძარი იღუპება სიღარიბის უფსკრულში. ცხავატის ეკკლესიისებური უკიდურესი მდგომარეობა ს. ოძისის სამრევლო ეკკლესიასაც მოელოდა, რომ აქაური სამზრუნველო მხნედ არ მოჰკიდებოდა თავისს მოვალეობას: ამ სამზრუნველომ უკვე აიღო ნება-რთვა ეპარქიის მთავრობიდამ შესაწირავის შესაკრებად და შეკრიბა კიდეც ცოტაოდენი ფული. გარდა ამისა, წარსულ კვირის სხდომაზედ დაადგინა განაჩენი ოძისის საზოგადოების ყრილობის წინაშე—მათისავე თანხმობით—რომ გაეგზავნოს თხოვნა ეპარქიის უფროსს, რომელმაც ინებოს მიმართვა, ვისთანაც ჯერ არს—ოძისის საზოგადოებას და სამზრუნველოს ნება მიეცეს სამრევლო სკოლის დაარსებისა. ამასთანავე სოფლის ყრილობის განაჩენი დაიწერა, რომელიც თხოვნით იგზავნება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორთან სკოლის გარდასახადის შემცირებაზედ, რადგან შესავალ-გასავალი ახალგორის სკოლისა გვაჩვენებს, რომ ოძელებმა ხარჯი კომლზე სამი აბაზიც რომ გაიღონ—არავითარი ზიანი არ მიეცემა ახალგორის სკოლას და შვიდ-შვიდი აბაზიც კიდევ სამრევლო სკოლის მოხმარდება. ამგვარ რომ იქნას საქმე—ოძელებს არ გაუჭირდებათ როგორც სამრევლო სკოლის შენახვა, აგრეთვე ახალგორის საერო სკოლის დახმარება სამ-სამი აბაზით. ახალგორის სკოლა ამგვარ შემთხვევაშიც სრულიად უზრუნველ-ყოფილი იქნება ნივთიერად და კიდევაც მოსჭარბდება ფული ხარჯს გარეთ, რაიცა მტკიცდება შემდეგის ანგარიშით:

| რიგი. | წლიური შესავალი სკოლისა. | კომლი. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ახალგორიდგან . . . | 122 | 122 | „ |
| 2 | ძეგლევიდგან . . . | 108 | 64 | 80 |
| 3 | ქვემო-ბოლოიდგან . . . | 162 | 97 | 20 |
| 4 | იკოთიდგან . . . . | 106 | 106 | „ |
| 5 | წირქვალიდგან . . . | 162 | 97 | 20 |
| 6 | ზემო-ალევიდგან . . . | 236 | 141 | 60 |
| 7 | ოძისიდგან . . . . | 80 | 160 | „ |
| | ჯამი შესავლისა | „ | 788 | 80 |

| რიგი. | წლიური გასავალი სკოლისა | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | შენობის ქირა . . | 150 | „ |
| 2 | მასწავლებელს. . . | 300 | „ |
| 3 | სამღრთო სჯულის მასწავლებელს . . . | 100 | „ |
| 4 | სკოლის მოსამსახურეს . | 80 | „ |
| 5 | სასწავლო ნივთებზედ . | 30 | „ |
| | ჯამი გასავლისა | 660 | „ |

სკოლის სახელობაზედ ყოველ წელიწადს რჩება და ინახება ხაზინაში 128 მ. 80 კ.; ოძისის საზოგადოება რომ სამ-სამ აბაზზედ ჩამოიყვანონ, მაშინ სკოლას დარჩება კიდევ ქარბად 16 მ. 80 კ. ანგარიშიდამ აშკარადა სჩანს, რომ ახალგორის სკოლას ორას თუმანზედ მეტი აქვს დაზოგილი; მაშასადამე, ოძისის საზოგადოება სამართლიანად სთვლის თავს დაჩაგრულად, როდესაც გაიძახის, რომ ახალ-გორის სკოლაში სიშორის გამო შვილებს ვერა ვზრდით და სხვაზედ ერთი სამად-ცა ხარჯს ვიწევთ მაშინ, როდესაც შეიძლება სხვასთან ერთად კომლზედ სამი აბაზი ვაძლიოთ და ჩვენ თვალ-წინ ჩვენივე სკოლა ვიქონიოთ. სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია საჩივარი ოძელებისა და თანაუგრძნობთ მათ თხოვნას, რასაც, იმედი გვაქვს, მთავრობაც წყალობის თვალით შეხედავს მით უმეტეს, რომ სამრევლო სკოლის მეტი სარგებლობა შეუძლია, ვიდრე საეროს, რომელიც არა ხელს შეუშლის პირველს; ახლანდელ სკოლაში სწავლა დამთავრებულნი მტკნარი გამოფიტულები გამოდიან და, გაჭირვების დღეს რაიმე საქმეზე ხელის მოწერას სხვას ელოდებიან. დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვა, რომ ახალგორის სკოლის მასწავლებელი, რომელიც სრულად არ ზრუნავს,—სკოლას საკუთარი შენობა აქვს, და 150 მანეთი შენობის დაქირავებაზე უსაფუძვლოდ არ ჰქრება, რომელსაც შენობის სამყოფი ფული მიწაში დაფლულ ქანქარით უსარგებლოდ ყრია ხაზინაში.

ა. ერისთავი.

## მცირე შენიშვნა.

—

გაზეთ „ივერიის“ № 266, 94 წ. დასტამბულია ბ-ნ ღვინელაძის შემდეგი მცირე შენიშვნა: „ამხამის, თუ ოთხის წლის წინად იზრუნეს სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელებმა განიზრახა სასწავლებელთან დაეარსებინა ყველასათვის სასარგებლო და გონების განმავითარებელი წიგნთ-საცავი. ეს თავისი განზრახვა ჩვენც და მოსწავლეებსაც გვაცნობა და თან დასძინა: „გვეჩულება საზოგადოდ სწავლა-განათლების მიმდევარი ხალხი ხართ, არაფერ კეთილს საქმეს ზურგს არ აქცევთ და ის მეც იმედი მაქვს ამ კეთილს საქმეში თქვენც შეძლებისა დაგვარად შემწეობას აღმოგვიჩენთო“. ჩვენს (მოწაფეების) სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დიდის სიხარულით მივეგებეთ ამ აზრს და ხალისიანად მივაწოდეთ ჩვენი წვლილი, ვიფიქრეთ: მალე გვექნება, „учебникъ“-ის გარდა სხვა რამე წიგნის წაკითხვაო, დაუყოვნებლივ გამოგართვით ხელის მოწერა. მთელს სასწავლებელში არც ერთი მოსწავლე არ დარჩენილა, რომ თავისი წვლილი არ მიეწოდებინოს. ამ აზრით წელი-

---

თებს? ჯერ სქელს ქაღალდს ავიღებ ხოლმე, აი ასე გადავზნექავ (გადაჰზნექავს ქაღალდს, გატეხილის ხელის იდაყვით იმაგრებს და წებოს უსვამს) აბა, ჩემსავით ვინ გააკეთებს ცალის ხელით?

რობერტი. ყოჩაღ, მამაჩემო, ყოჩაღ!

ხეინეკე. ყოჩაღი-კი ვარ, მაგრამ ვინ ესმის ჩემი, ვერც ვინ მიგდებს? თუ-კი არავინ მხარს არ მიძლევს, რა შემიძლიან! ან განა-კი საკვირველია, რომ ამ ორივე გომბიოს ჩემი პატივისცემა არა აქვთ... ერთი-კი გათხოვილია, ვიქვით... როდესაც მშობელი დედა ცუდ მაგალითს აძლევთ...

რობერტი. (საყვედურის კილოთი) მამავ!

ხეინეკე. შენ აქაურობისა არა იცი-რა. შორიდგან ყველაფერი მშვენიერადა სჩანს. ღილი, ჩემო ბატონო, ეს-და ისმის: საყვარელო დედავ, ძვირფასო დაო, მაგრამ რომ იცოდე, რა სატანჯველში ვარ?! ცხენის რკინის გზის ფულსაც-კი არ მაძლევს, როცა მინდა ქალაქში გასეირნება, სასმელების დუქნისაკენ.

რობერტი. მამავ, მგონი, მეტად უსამართლოდ ექცევი დედაჩემს. განა თავისის ორივე თვალის სინათლესავით არ გიყვარს და გიფრთხილდება?

ხეინეკე. ახ, ღმერთო შემიწყალე! მე ხომ იმისას ცუდს არას ვამბობ. სსუუ, მოდის!

დედა. (შემოდის და ხელში უჭირავს ყავადანი) დაბრძანდი, შვილო, აი აქ, სავარძელზე დაბრძანდი. დამიცადე. (სავარძელს ზურგს ახვევს) ჩვენს კეთილშობილს ბატონს ბერეშონს სავარძელი ეკუთვნის.

რობერტი. ეს საიდგან-ღა იშოვეთ?!

დედა. აი ერთიც სხვა გვაქვს მაგისთანა. ჩვენი სარკე გინახავს? ჩარჩო ოქროს ვარაყიანი აქვს და ზედ მდგარია ჩასმული. სიძე ამბობს, რომ სულ ცოტა-ცოტა, ათი თუმანი ღირსო.

რობერტი. მერე საიდგან იშოვეთ ეს ძვირფასი ნივთები?

დედა. ჩვენი მიულერის მოციქულ-ლია.

რობერტი. მიულერმა გიფეშქაშათ?!

ხეინეკე. ესე იგი, მართალი რომ ითქვას...

დედა. (ჩქარა ხმით). სუუ, სუუ! დაგიყვიტყვა ახალგაზრდა ბატონმა რომ სთქვა, ჩემს შვილს ნურაფერს ეტყვითო. (ხმა მაღლა) ჰო, ბატონის ნაჩუქარია. მარტამ ყველაფერი სიტყვა გამოგვიგზავნეს, წრეულ-კი სავარძლები. კაცო, მაგ ქაღალს ნუ სხიჭები-მეთქი!

რობერტი. ასეთი საჩუქრები-კი სწორე გითხრათ, არაფრად მომწონს.

დედა. (ყავას ასხამს) ეს ძვირფასი ნივთები ყველასათვისაც ხომ არ გამოდგება. მაგრამ როცა ისეთი კეთილშობილი ხალხი დადის, შვილო, ასეთი ბატონი გვყავს და ქალიც ჰკვიანი და ნიჭიერი...

რობერტი. ელმა?

ხეინეკე. ჰო, ელმა. არაფერი დავიშურეთ-რა იმისთვის, რასაც-კი ძალა და ღონე შეგვწევდა.

დედა. ამისთან შენც ხომ ბევრს ფულს გვიგზავნიდი.

რობერტი. ჩვენ ხომ ისე გვქონდა დაწყობილი, რომ როცა სასწავლებელს გაათავებდა, ქალების ტანისამოსის კერვა და ანგარიში უნდა ესწავლა.

დედა. მართალია... წინად...

რობერტ. ახლა რაღაა? განა უაღდგენლად არის?

დედა. ექვსი თვეც იქნება, რაც აღარა მუშაობს.

რობერტი. მაშ ახლა რას აკეთებს?

ხეინეკე. (თავ-მომწონედ) მომღერლად ემზადება.

რობერტი. გაგონებითაც-კი არ გამიგონია, რომ ელმას მუსიკის ნიჭი ჰქონოდეს.

ხეინეკე. მერე რა ნიჭი აქვს, რომ იცოდე! (ჰკვნესის ხმით).

დედა. ეგზამენი დაიჭირა ერთ იტალიელ ქალთან. ის ქალმა სთქვა, მაგისთანა ხმა ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია და მუქთადაც-კი დიდის სიამოვნებით ვასწავლიო გალობასაო.

რობერტი. მერე ეგ ამბავი აქამდის რატომ არ მომწერეთ?

დედა. ოჰ, ღმერთო, აქედამ ინდოეთამდე ისეთი დიდი მანძილია, რომ ხან რის მოწერა დაგვავიწყდებოდა ხოლმე და ხან რისა. ესეც არ იყოს, ერთბაშად გაიხარებდი, გვეხარებინა შენთვის.

რობერტი. (ჩქარა და აღელვებული დგას) ავგუსტა? თვალ-ყური უჭირავს მაინც თავისს დაზე?

დედა. რადა თვალ უნდა, თვითონ არ აშორებს. ელმა სადილად იმასთან არის და გავგეთდებსაც იქ სწავლობს. სასამოვნოთაც-კი, როდესაც უდიანოებს და ცხენის რკინის გზა აღარ დადის, იქ იძინებს. აი ღელავს...

რობერტი. თქვენ არა სწუხართ, რომ ღამე გვიანა ბრუნდება?

ხეინეკე. ხე ხე ხე, რა დიდი ბედენაა.

დედა. რაღა შევწუხდებით, როდესაც ვიცით, რომ ავგუსტა უბრალოდ არასდა გაუშვებს. ეხლა ეხლა მოსვლის დრო არის. აქამდისაც უნდა მოსულიყო, მერძევე დღეიკამა დილით ადრე წერილი წაუ-

ლო. ძალიან ესიამოვნება შენი ჩამოსულის ამბავი.

რობერტი. ავგუსტა ბედნიერია?

დედა. არა უშავს-რა. ხან და ხან სჩხუბი ხოლმე იმისი ქმარი და მუშაობაზედაც ცოტა ზარმაცია, თუმცა..

ხეინეკე. ჩხუბის და აყალ-მაყალისაკი დიდი მუშტარია.

დედა. თუმცა საერთოდ-კი მშვიდობიანად სცხოვრობენ. მოაწვდიან ოთხი ოთახი მოსაყუდი მოაწყო და ერთი პოლტიკაშვილი შეძლებულ კაცი მასპინძლად. მოქირავე იშვიათად არის სახლში, ქირასაც თვეობით ადრევე. შემოსავლით ზურგს იმაგრებენ. თითო ფინჯანი ყავაში ქეხი-ქეხი შაფის აძლევს. (ფანჯრიდან იხედება) ეგერ ჩვენი სიძე მოდის თავისის ცოლით.

რობერტი. განა ელმა-კი იმათთან არ არის?

### VI

ისინივე ავგუსტა და მიხაელსი.

ავგუსტა. მადლობა ღმერთს, ძლივს არ დაბრუნდი. (ჩქარის ჩამოსვლად) აბა გვითხარ ერთი როგორ სცხოვრობდი? მოგზაურ ან-კი რა საკითხელია, ვინც აგრე ფერგადამხდარი დადის.. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ყველაფერი ოქრო არ არის, რაცა ბრწყინავს... აი, ჩემი მეუღლეც.

რობერტი. აბა, საყვარელო სი-

წადში სამჯერ იკრიბებოდა ფულები და ბ-ნ ზედამხედველის ხელში მიდიოდა. როგორც ვიცით, ბ. ზედამხედველს წიგნთ-საცავისათვის რამდენიმე თუმანი სხვაც ჰქონდა დაგ გასინჯეთ, დღესაც კი უწიგნთ-საცავოდ არის სასწავლებელი დატოვებული. აგერ ცხრა თვე მიდის, რაც ეს ფრიად საყურადღებო შენიშვნა დაისტამბა გაზ. „ივერიაში“, მაგრამ სამწუხაროდ ბ. ზედამხედველმა ნ. გ. ტ—ვმა ყურადღება არ მიაქცია. ღვინელაელის მცირე შენიშვნა, მე დარწმუნებული ვარ, ბევრს მკითხველთაგანს სინამდვილეს მოკლებული ეგონებოდათ და იქნება დღესაც ჰგონიათ. მაგრამ არა, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ შენიშვნაში თვით დიოგენის სანთლით რომ ეძიო, ერთს სიცრუეს ვერ იპოვით. მე თვითონ, თქვენი უმორჩილესი მონაც, თუმცა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში არ ვსწავლობდი, მაგრამ იმ დროს, როცა მოწაფეებში წიგნთ-საცავისათვის წელიწადში სამჯერ ფულები იკრიბებოდა, ოზურგეთში ვსცხოვრებდი. რამდენი მოწაფეთაგანი მოვიდა ჩემთან და მთხოვა: „მამაჩემის მოსვლამდის ამდენი ფული მასესხე, ზედამხედველს უნდა მივუტანო, წიგნთ-საცავს გვიარსებსო“. ძნელი წარმოსადგენია ის სიხარული, რომელსაც მაშინ მოწაფეები გრძნობდნენ.

ბ ნმა ზედამხედველმა თითქმის სამის წლის განმავლობაში ამ აზრით მოწაფეებში ფულები აგროვა. როგორც სჩანს „ივერიაში“ დასტამბულ მცირე შენიშვნიდგან და ბ-ნ კიწავარ წერილიდგან! *), სასწავლებელი დღესაც უწიგნთ-საცაოდ ყოფილა დატოვებული. რა იქნა ეს წიგნთ-საცავისათვის შეკრებილი ფულები?.. ვის ქისას მიემატა?.. იკითხავთ, ჩემო კაცთ-მოყვარე მკითხველო! ეს ბატონებო, ალლახმა უწყის!

*) იხილე „კვალი“ 94 წ. № 9.

„ყველა დამეთანხმება, რომ ბიბლიოთეკა უძვირფასესი განძია სასწავლებლისათვის, ე, ი. ოზურგეთის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი აქამდის მოკლებულია ამ უძვირფასეს განძს.

ბ-ნს ტ—ვს ვსთხოვთ საქვეყნოდ გამოაცხადოს: მიზეზი რა არის, რომ სასწავლებელს ბიბილოთეკა არა აქვს? რამდენი მანეთი იქმნა მოწაფეებში ამ სამის წლის განმავლობაში მოგროვილი და ეს ფულები ბიბლიოთეკარს მოხმარდა თუ არა?

რიონისპირელი.

## რუსეთის ცხოვრება.

წელს უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის განსაგრძობად მსურველთა რიცხვი ძლიერ ბევრია. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ვაკანსიებზედ ხუთჯერ მეტი თხოვნები შესულა; სამთო-სამადნეულო ინსტიტუტში ოთხჯერ მეტი, გზათა უწყებათა ინსტიტუტში ექვსჯერ მეტია და საერო საინჟენერო ინსტიტუტში ორჯელ მეტი.

—

გაზ „ნოვ. ვრემ.“ იუწყება, რომ, რადგანაც რკინის გზით მოგზაურთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა ახალი ტარიფის შემოღებისა გამო, ამიტომ რკინის გზის დეპარტამენტში აღძრულია კითხვა: სამგზავრო მატარებელთა რიცხვს კიდევ მოუმატონ.

—

მინისტრთა კომიტეტის პირველი სხდომა 27 სექტემბერს მოხდება.

—

სახელმწიფო საბჭო შემოდგომაზე განიხილავს ფინანსთა სამინისტროს პროექტს, რომლითაც განზრახულია საკომერციო განათლების გაძლიერება რუსეთში.

—

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს პეტერბურგისა და ხარკოვის სატეხნოლოგო ინსტიტუტებში სამეურნეო იარაღების გაკეთების სწავლება შემოიღოს და ამისათვის კათედრა იქმნას დაარსებული, რისთვისაც კიდევაც აღუძრავს ამის შესახებ ლაპარაკი.

—

ფინანსთა სამინისტრომ ამ დღეებში გარდასწყვიტა და დაადგინა, რომ კავკასიის რკინის გზაზედ საზოგადო ტარიფი იქმნას შემოღებული სახალხო და საქონლის მატარებლით წასაღებ ბარგზედ და აგრეთვე მსწრაფად გასაგზავნს საქონელზედ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ამ მოკლე ხანში მულგეიმში მომხდარ არეულობის შესახებ დეპეშები სრულიად არაფერს იუწყებოდნენ და მხოლოდ ეხლა გამოქვეყნდა ეს საქმე. აი, რასაც სწერს გაზეთი „პოსტ“-ი:

ნავთ-სადგურთან ახალგაზდა მუშათ მოიყარეს თავი და დაუწყეს იქაურობას ლეწვა და მტვრევა. კელნიდგან მომავალს გემებს მუშებმა ქვა დაუშინეს და ამის გამო გემებში მსხდომთ ნაპირზედ გადმოსვლა ველარ გაჰბედეს. პოლიციელებმა, რომელთა რიცხვიც 12-დე იყო, ვერა მოუგვარეს-რა და თავის დასაცველად იძულებულნი იყვნენ იარაღისათვის მიემართათ. ბევრი პოლიციელი და სხვა მოხელენი იქმნენ დაჭრილნი ამ არეულობის დროს; დაჭრილ იქმნენ აგრეთვე ზოგიერთნი აჯანყებულთაგანნი. აქედგან განრისხებული ბრბო აღელვებულთა ქალაქისაკენ წამოვიდა და რამდენჯერმე თოფის ხმაც მოისმა. დილით როგორც იყო დაამშვიდეს აჯანყებულნი, მაგრამ კვირას, დღისით, არეულობამ ხელ-მეორედ იჩინა თავი. ეხლა-კი კელნიდგან დაიბარეს ჯარი. როდესაც ნავთ-სადგურსა და წყლის პირის ქუჩებს დაუწყეს გაწმენდა, აჯანყებულთ ქვა დაუშინეს ჯარის-კაცებს; იქვე მეზობელ სახლების ფანჯრებიდგან დაიწყეს თოფის სროლა და რკინისა და სხვა ამგვარ მძიმე საგნების სროლა. მაშინ ჯარის-კაცებმა იარაღი იხმარეს და გაჩნდა სროლა. ბევრი დაიჭრა. ერთი 15 წლის ყმაწვილი მოკლული იქმნა, მრავალი ქალი და ბავშვი დასჭრეს. აჯანყებულთა მომეტებული ნაწილი დააპატიმრეს.

მიზეზი ამ არეულობისა ჯერ არ იციან.

—

უკანასკნელს დროსაო, სწერს ავსტრიის ერთი ოფიციოზური გაზეთი, ბულგარიის მთავრობა ძალიან ცდილობს რუსეთს შეურიგდესო. მთავრობას მეტის-მეტად ჰსურს, რომ რუსეთმა პრინცი ფერდინანდი სცნოს ბულგარიის კანონიერ მთავრადაო და ამის გამო არაფერს არ ზოგავსო. ნუ დაივიწყებს ბულგარიის მთავრობა, რომ შესაძლებელია ამგვარი მორიგება ძვირად დაუჯდეს ბულგარიასაო. ამგვარს პოლიტიკას გაზეთი არ თანაუგრძნობს და ამბობს, რომ ბულგარიის ინტერესი სულ სხვა გზას თხოულობსო. რაც შეეხება ავსტრიუნგრეთს, ის სრულიადაც არ აპირებს ბულგარიის საქმეებში ჩარევას, როგორც რუსეთის გაზეთები უკიჟინებენო.

„სცადოს ბულგარიის მთავრობამ თვისი ახალი პოლიტიკა, იაროს ახლად არჩეულს გზაზედ! ავსტრია მას წინ არ გადაეღობება, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ბულგარიას ამ გზაზედ მწარე განსაცდელი მოელის და ადრე თუ გვიან თვისს შეცდომას მიხვდება. მაგრამ ვინ იცის, ვინ იქნება ამ შეცდომის გამსწორებელი და ვის დასჯის შედეგი ამ პოლიტიკისა“.

## წვრილი ამბები

—

თვისის ხანგრძლივის მარხულობით ცნობილმა ჯოკან სუჩჩმა კიდევ აალაპარაკა ამ ბოლო დროს ხალხი. ამ ბოლო დროს ჯოკან სუჩჩმა 30 დღე იმარხულა ბერლინში. უკანასკნელ დროს იგი თითქმის ევროპის ყველა დიდს ქალაქში იყო და მარხულობდა 30-დგან 52 დღემდის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. რასაკვირველია, ჯოკანი მუქთად არ მარხულობს; იგი ამ ჟამად 40 წლისაა, საკმაოდ საღის აგებულებისა და ნერვებიანი. მარხულობის დროს ჯოკანი მხოლოდ წყალსა სვამს, რომელშიაც რაღაც ელექსირს ურევს პატარ-პატარა დოზებათ; ექიმების სიტყვით, ეს ელექსირი ტკივილს ძალიან არ აგრძნობინებს და ამშვიდებს თურმე. თითონ სუჩჩი ასეთს თავისს თვისებას მარხულობისას „თვით-ჩაგონებას“ აძლევს. ეს ელექსირი ჯოკანს აფრიკაში ყოფნის დროს უშოვნია ერთის იქაურ მცხოვრებისაგან. მიუხედავად ამ განსაცვიფრებელის თვისებისა ჯოკანის მხრივ, მაინც „შიმშილი ძმობას ვერ უწევს“ მას და ტკივილებს აგრძნობინებს ხოლმე. ერთია მხოლოდ დიდად გასაკვირალი და სახელდობრ ის, რომ იმ დროს, როცა მარხულობისაგან სიმძიმე სრულიად უმცირდება, ძალა შეუცვლელად რჩება, ხოლო რაც შეეხება ფილტვებს, სრულიად არ უსუსტდება და პირ-იქით თითქოს მატულობს ფილტვების ძალა. 22 დღის მარხულობის შემდეგ ჯოკანი სუჩჩიმ 8 მილი, ანუ 56 ვერსი, გაიარა ფეხით და არავითარი გავლენა არ იქონია მასზედ ამ მგზავრობამ.

—

ამერიკის საოპერო დასი აბბესი და გრაუსი 300 მომღერალიდგან და ორკესტრიდგან შესდგება, რომელთა შორისაც ბევრი გამოჩენილი და სახელგანთქმული არტისტიც არის. ხარჯი დასისა მართლა საშინლად დიდია — თვეში მილიონი ფრანკი ეხარჯებათ. ამას წინად ქ. ბოსტონში ორის კვირის განმავლობაში დასმა 700,000 ფრანკი იშოვა. ჩიკაგომა და ნიუ-იორკმა ნახევარ-ნახევარი მილიონი შესძინა თითო კვირაში. დასს ორკესტრზედ ეხარჯება თვეში 100,000 ფრანკი და ხოროზედ 35,000 ფრანკი.

—

გაზ. „ყარსის“ ახალ ამბავთა შორის ერთი სასაცილო ამბავი ამოვიკითხეთ: ყარსის ოლქის მცხოვრებელს სიმონ არუთინოვს სამი ქურდი დახვედრია გზაზედ. რომ ძალიან არ შეეშინებინათ არუთინოვი, ქურდებს იარაღი არ ეხმარათ და სასაცილოდ ასაგდებად და-

---

ძევ, ხელი მომეცით და ვიყვნეთ დღეიდგან მეგობრები.

მიხალსკი. გმადლობთ მაგ პატივისცემისათვის. ხშირად არ ეღირსება ხოლმე ჩემს მუშაობისაგან დაკოძავებულს ხელებს აგეთი პატივი.

რობერტი. მეგობრებს შორის ეგ სიტყვები ვერაფერი გასაგონია. ალმა სადღაა?

ავგუსტა. ჩვენი დედოფალი სულ ირთვება, რომ მორთულ-მოპრანჭული ღირსეულად გამოცხადდეს თავისის ძმის წინაშე. ეხლა თმების დახუჭუჭებაშია. მეორე ვაგონი რომ ჩამოივლის ცხენის რკინის გზისა, ისიც მოვა. ეს ქადა საიდგან ლა გაჩნდა?

დედა. (ყველას მიართმევს ქადას. მიხალსკები სჭამენ) ერთი ლუკმა მაინც აიღე, შვილო. (რობერტი უარს ამბობს. დანარჩენნი სჭამენ. სიჩუმეა.)

ხეინეკე. აბა, შეჰხედე ერთი, მიხალსკი: „მშვიდობა, შვილო, მოსვლასა შენსა.“

მიხალსკი. (ჰღეჭავს) სისულელეა!

რობერტი. (გაოცებით) სიძევ?

ხეინეკე. რად არის სისულელე? ჩემის საკუთარის ნაღრძობის ხელით გავაკეთე... და!.. (რობერტი ამშვიდებს).

მიხალსკი. მე უბრალო კაცი ვარ და პირში თქმა მიყვარს.. არ მიყვარს ე მაგისთანა სისულელეები... ვინც ჩვენსავით დღე-ღამე ოფლის ღვრაშია და მაინც სიღარიბეში ირჩობა...

ხეინეკე. ეგ-კი მართალია, მეტადრე როდესაც მუშაობის მაგიერ მთელი დღე უსაქმოდ დავეხეტებით და ქადა-ნაზუქით ვისუნსლებით.

ავგუსტა. კიდევ დაიწყეთ ჩხუბი? (ქმარს) შენ მაინც დააყენებდი ენასა. ვერა ჰხედავ, რომ მოხუცებული სიყმაწვილეში ვარდება.

ხეინეკე. მე? მე ვვარდები სიყმაწვილეში? კაი ამბავია... მეკადრება... აი, ეხლა ხომ ჰხედავ, როგორც მე პყრობიან ჩემი შვილები...

რობერტი. (ნელის ხმით ავგუსტას) მომიტევე, დაო, მაგრამ აგრე ლაპარაკი შეიძლება განა...

ავგუსტა. რა ვსთქვი ისეთი? (კარის რაკუნი ისმის)

### VII

ისინივე და მსახური ვილჰელმი

(ვერცხლის სირმიანს ტანისამოსშია, ხელში თაიგული უჭირავს).

ყველანი. (რობერტს გარდა) ოჰო, ვილჰელმს გაუმარჯოს. დილა მშვიდობისა. (ხეინეკე და მიხალსკი ხელს ჩამოართმევენ).

დედა. ვისთვის არის ეგ თაიგული? ქალაქში თუ გაგატანეს ვისთან მე?

ვილჰელმი. ქალაქში-კი არა, აქ გამომატანეს. ახალგაზდა ხეინეკე თქვენა ბრძანდებით? (რობერტი თავს უქნევს. ვილჰელმი მეგობრულად ეტყვის) დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა (ხელს გაუწოდებს).

რობერტი. (ჩაიცინებს და ხელს არ მიაწვდის) ძალიან კარგი, გმადლობთ.

ვილჰელმი. ჩემმა ბატონებმა ჩამობრძანება მოგილოცეს და ეს თაიგული გამომატანეს — საუცხოვო ვარდებია დაკრეფილი, მთელს ბაღში ამაზედ უკეთესი ყვავილები არ მოიძებნება. საიდუმლოდ კი გეტყვით, რომ თაიგული პატარა ქალბატონის გამოგზავნილია.... საზოგადოდ ჩვენი პაწია ქალბატონი თქვენ ძალიან...

რობერტი. (თავს იმაგრებს) რაო, ისიც ნაბრძანები გაქვთ, რომ ყველა ეგ მიამბოთ?

ვილჰელმი. არა, ნაბრძანები არა მაქვს.

რობერტი. მაშ თქვენთვისვე შეინახეთ, რაც იცით. (ვილჰელმი კარებისაკენ მიდის.)

დედა. ვილჰელმ, ქადა არ გინდათ მოგიჭრათ? ცოტაც დარჩა.

რობერტი. მოითმინე, დედაჩემო. (მსახურს ფულს აძლევს) აჰა, ესეც თქვენ საჩუქრად. თქვენს ბატონებს მოახსენეთ, რომ ორს საათზედ გიახლებით თქო გრაფ ტრასტზაარბერგთან ერთად. შეგიძლიანთ წახვიდეთ. (ვილჰელმი გადის.)

დედა. გრაფთან ერთადაო? რომელ გრაფთან?

რობერტი. ერთი ჩემი საუკეთესო მეგობართაგანია, დედაჩემო, და დიდადაც ვარ იმისაგან დავალებული.

ავგუსტა. (ქმარს ნელის ხმით) გესმის, გრაფებთანაც-კი მეგობრობა აქვს.

მიხალსკი. (ნელის ხმითვე) ჩვენი გაკვირვება და გაოცება უნდა.

დედა. მომე თაიგული, წყალში ჩავდგამ, შვილო. ვილჰელმს აგრე ცუდად რად მოექეცი? — ჩვენს ოჯახთან ძალიან დამეგობრებულია.

ავგუსტა. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ და გრაფებს ვერ გავიჩენთ მეგობრებად.

მიხალსკი. ჩვენ სწორედ, სწორედ მოსამსახურეებთან უნდა გავწიოთ მეგობრობა.

დედა. ჰო, შვილო, ვილჰელმს უნდა დაუმეგობრდე... თუ ჩვენი სიყვარული გაქვს მაინც. ბევრი სიკეთე მიუძღვის ჩვენთან. ხან შემწვარს გამოაფრენს ხოლმე აქეთკენ, ხან ბოთლს ღვინოს.

რობერტი. დედავ, დედავ, რას ამბობ! მერე შენცართმევდი?!.

დედა. რატომაც არ გამოვართმევდი? ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ და უნდა გვიხაროდეს კიდეც, თუ ვინმემ მოგვაწოდა რამე.

რობერტი. დედაჩემო, ერთიორად მეტს ვიმუშავებ, ყველაფერს თქვენ მოგცემთ, ოღონდ-კი... სიტყვას მაძლევ, არა? მაგ მსახურს ნურაფერს გამოართმევ.

დედა. არა, შვილო, შვილო, მაგას ხომ სიამაყეთ ჩამოგვართმევენ... კარგისაგან ან უარი რად უნდა ვსთქვათ? ვილჰელმი პატარა ქალბატონის ამბავს, მართლაც, უბოროტოდ გიამბობდა. მეტად უცნაური ქალია. დამინახავს თუ არა ეზოში, მაშინვე შენს შესახებ ჩამომიგდებს ხოლმე ლაპარაკს: წერილი ხომ არა გამოუგზავნია-რა, როგორ არის, ხომ არას იტკივებსო და სხვა ამისთანები... მერე ყოველთვის ალერსით და მოფერებით... შენ რომ ჰკვიანი შვილი მყავდე, რობერტ....

რობერტი. თუ ღმერთი გწამს, დედაჩემო, დავანებოთ მაგ ლაპარაკს თავი.

ხეინეკე. ერთი ორიოდე მილიონი ძალიან საქმეს გვიზამდა.

მიხალსკი. მერე, ძმაო, მაშინ ფულს მომცემ სესხად?

რობერტი. (თავისთვის) ნეტა დიდხანს მტანჯავენ კიდევ ასე?

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება)

ხვეული ქოსლდი გადაეულასშინებიათ მასლად. საწყალს არუთინოვს ქალაქში საწამლავი ჭკონებოდა გამოხვეული და აკად გამხდარიყო, როგორც მოწამლული კაცი; ასე რომ ექიმს თუ არ დაერწმუნებინა, რომ მას მოწამლულისა არა სჭირს-რა, არუთინოვი შიშისაგან თავს დაუკრავდა იმ საქმოს, იმ გმირთა-გმირ თავისს მამა-პაპათ, რომელთაც არუთინოვისამებრ სიმამაცით დაიხსნეს ტფილისი აღა მაჰმად-ხანისაგან!..

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მადაგასკარიდგან იუწყებიან, რომ მადაგასკარის პირველს მინისტრს საფრანგეთის ჯარის სარდლისთვის—გენერალ დიუშენისთვის შუაკაცები გაუგზავნია და უთხოვნია მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ მოლაპარაკების დაწყება. დიუშენს უპასუხნია, რომ მშვიდობიანობაზედ მაშინ გვექნება მოლაპარაკება, როდესაც თქვენს სატახტო ქალაქს დავიპყრობთო. ამიტომ მადაგასკარელთ განუზრახავთ დასწვან ტანანარივა საფრანგეთის ჯარების შემოსვლის წინად და სამხრეთისკენ დაიწიონ. ეს იმას ნიშნავს, რომ მადაგასკარზედ ომი კიდევ დიდხანს გასტანს და საფრანგეთს საქმე მეტად გაუძნელდება.

—

**ესპანია.** კუნძულ კუბიდგან იუწყებიან, რომ აჯანყებულთ ერთი წინამძღოლთაგანი—მუხიკა—ტყვეთ წაუყვანიათ ესპანელთ და დაუხვრეტიათ. აჯანყებულთ საქმე ჯერ კარგად მიდის, ესპანელნი შეწუხებულნი არიან და მაშველს ჯარებს ელიან ესპანიიდგან. დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარებიან კუბელთ სამხედრო მასალით და სხვა სურსათითაო.

—

**ოსმალეთი.** ამ დღეებში სტამბოლს დაბრუნდნენ სომხეთის პროვინციებიდგან ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატები სტიპლეი და ვილბერი. დელეგატები აცხადებენ, რომ მათ ვერ იპოვნეს დასამტკიცებელი საბუთები იმ ძალმომრეობისა და წვალებისა, რომელთა მსხვერპლად ვითომ გახდნენ სომხები შარშან ბითლისში და რის შესახებაც ასე გაცხარებით ლაპარაკობდნენ ლონდონის გაზეთები. ბითლისიდგან არ დაბრუნებულა ჯერ რუსეთის დელეგატი.

—

**ინგლისი.** ლონდონის გაზეთები იუწყებიან, რომ ლონდონის პოლიციამ აღმოაჩინა ანარხისტთა შეთქმულობის კვალი. ანარხისტებს ვესტმინისტერის სასახლის აფეთქება განეზრახათ. ესავე ხმა დადის ლონდონის საზოგადოებაშიც. რამდენიმე კვირის წინად, ამბობენ გაზეთები, ერთი ესპანიელი შესულა ერთს ლონდონის სტამბაში და წარუდგენია ჟურნალი არაბულ ენაზედ დასაბეჭდათ. რამდენიმე ნომერი კიდეც დაებეჭდათ და გაეგზავნათ ესპანიელისთვის. ამ დროს პოლიცია შესულა სტამბაში და აღუკრძალავს ჟურნალის ბეჭვდა, რადგანაც იგი ანარხისტული პამფლეტი ყოფილა, რომელშიაც გამოთქმულია განზრახვა შესახებ პარლამენტის აფეთქებისა.

—

ტელეგრამებიდგან სჩანს, რომ ინგლისის მთავრობას საწყობებში თოფის წამალი აღმოუჩენია. ესავე კითხვა იყო აღძრული ოპოზიციის მიერ წარსულ პარლამენტში, ესავე იყო მიზეზი როზბერის მიერ სამსახურიდგან გამოსვლისა, ახალმა სამხედრო მინისტრმა დანიშნა კომისსია, რომელსაც უნდა გამოეკვლია, საკმაოა თუ არა საწყობებში თოფის წამალი და ჯარისთვის საჭირო ნივთები.

კომისია ზემო გამოთქმულს აზრს დასდგომია. ამიტომ მთავრობას მოუხდება მოსთხოვოს პალატას დამატებითი ბიუჯეტი თოფის წამლისა და ჯარისთვის საჭირო ნივთების შესავსებლად. ამბობენ, რომ ეს საგანი გამოიწვევს ხელახლად კამათს ახალისა და ძველის კაბინეთის წევრთა შორისაო.

—

**საფრანგეთი.** სამ აგვისტოს ბონაპარტისტებმა ნაპოლეონ პირველის დაბადების დღე იდღესასწაულეს. პარისის ნადიმში 1000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. თავმჯდომარეთ იყო მონარხისტი კუნეო დ'ორნანო.

ნადიმზედ ვიქტორ ნაპოლეონისაგან ტელეგრამა მიიღეს. ვიქტორ ნაპოლეონი სწერს: „ჩვენ დასს არ შევადგენთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ საყოველთაო ამორჩევა“.

ბორდოში დღესასწაულის დროს ჩხუბი მოხდა მუშათა და მედღესასწაულეთა შორის. უკანასკნელთ მუშები მიიწვიეს მოესმინათ ბონაპარტისტების „სიტყვა“. მათ უარი განაცხადეს. როცა ბონაპარტისტებმა ფოტოგრაფი მოიწვიეს სურათის გადასაღებათ, მუშებმა დაცინება დაუწყეს. მედღესასწაულეთა იწყინეს და მალე მუშებთან ხელით შეტაკება მოუხდათ; აირია ბოთლი, სკამი, მუშტი... პოლიცია ჩაერია და ჩხუბი მოსპო. რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ვლადივოსტოკში ხოლერა გაჩნდა.

**მადრიდი,** 14 აგვისტო. ბარსელონიდგანა, კადიკსიდგანა და კორუნიდგან ჯარები იქმნა გაგზავნილი კუნძულ კუბაზედ.

**ვენა.** ტარნოპოლსა და გალიჩში აზიის ხოლერა გაჩნდა.

**შანჰაი.** როგორც შემგტუდგან მოვიდა ამბავი, ახალს ვიცე-მეფეს ბრძანება გაუცია პროტესტანტთა მისსიონერების ოთხი მკვლელი დასჯილ იქმნან.

**ლონდონი.** მთავრობამ აცნობა ლორდთა პარლამენტს, რომ განზრახვა აქვს ცვლილება მოახდინოს სამხედრო სამინისტროში.

**რომი.** რესპუბლიკა გაიტისა და სან-დომინგოს შუა აღძრულის კამათის გარდაწყვეტა საზღვრების გამიჯვნის შესახებ პაპს თავისზე უკისრია.

**ლონდონი,** 15 აგვისტო. სტამბოლიდგან იტყობინებიან, რომ შაქირ-ფაშა, ახლად დანიშნული მთავარ კომისარად, წავიდა სომხეთში. ლონდონის გაზეთები კომისარის დაჩქარებითს წასვლას ხსნიან იმ გარემოებით, რომ ინგლისის გემები სმირნიდან მიტილენს მიუახლოვდნენ. ლონდონის გავლენიანი წრეები ამბობენ, რომ ინგლისის გემები უთუოდ და დაუყონებლივ უნდა შევიდნენ დარდანელში, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის სახელი დამცირდება აღმოსავლეთშიო.

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სიროკინ შჩერბანინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.

(857—1468)



## სასწავლებელი და პანსიონი
ქ-ნ ტერ-ოსიპოვისა.

სოლოლაკი, ბაღის ქუჩა, № 46,
(სერგიევის ქ. შესახვევში).

მიღება ყმაწვილებისა (ორივე სქესისა) დაიწყება 22 აგვისტოს, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვეს.

(6—1779—1).



**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ ამა წლის 23 სა და 31 აგვისტოს დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზედ, ბანკის შენობაში დანიშნულია საჯაროდ ვაჭრობა შემდეგის მამულებისა, რომლებიც წინა ვაჭრობით გაუსყიდველობისა გამო ამ წლის 9 აგვისტოს, ბანკს დარჩა:

ჩოლოყაევები თავ. რევაზ ალექსანდრეს ძე, ბიძინა ოთარის ძე და ელისაბედ დავითის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 720 დესეტ., ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, საადგარაკო ახმეტაში, თავნი ვალი 7947 მან. 43 კაპ., შემ. გარდ. 339 მან. 20 კ. და სულ 8281 მან. 63 კაპ.

თავ. ანდრონიკოვები: ია და ზაზა დონიკეს ძენი: სძოვარი ადგილები, მიწა ზომით 518 დეს. 330 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, საადგარაკო ზიარში, თავნი ვალი 12,451 მან. 96 კ., შემ. გარდ. 378 მან. 27 კ. და სულ 12830 მან. 23 კაპ.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გარდახდილ იქმნას ბანკის გირავნობის ფურცლებით მანეთზედ მანეთი მათის ნამდვილის ღირებულებისა, და აგრეთვე ბანკის თანხმობით შეიძლება ვალი მსყიდველზედ იქმნას გარდატანილი; ხოლო სავადო შესატანი და სხვა გარდასახადები უნდა წარდგენილ იქმნას ნაღდ ფულათ.

ვაჭრობა პირველის მამულისა მოხდება 23 აგვისტოს, ხოლო მეორისა 31 აგვისტოს. სიტყვა „შეიძლება“ სრულიად სარწმუნოდ არის ხმარებული. (3—6—2).



„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—13



ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

**ლექსები და წერილები.**
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

**მამის ერთგული.**
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

**მტრედი.**
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.



## საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის დათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ფ. მანუჩარიანცს, ტფილისს.

(24—1596—13).



## ზეთი და ფხვნილი
თითბრის ავეჯეულობის საწმენდი, ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელერისა და ამხ. მოსკოვში.**

ისყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

ამ ზეთითა და ფხვნილით გაწმენდილი ნივთები ისე ბრჭყვრიალებენ, რომ ახლებზედ ბევრით უკეთესნი ხდებიან. ხოლო სყიდვის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ამათ მაგიერად სხვა ფხვნილი და ზეთი არ იყიდოთ, რადგანაც ხმარება დაბალის ღირსების ზეთისა, ან კიდევ მზეზედ დაშლილ ვენურ კირისა (ე. ი. დაუფქველისა) არ არის ნამდვილი საშუალება, თუმცა ხშირადა ხმარობენ და ურჩევენ. ამნაირად დაშლილს კირს სრულიად აღარა აქვს მოქმედების ძალა. (2—19—2)